

ფროზა

რედაქცია

მოლინის (აბას-ბატის) მედანზე, ქორღანოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შილაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Фроза“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირაკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

საქართველო

ნივაპციოთ უზრადღება

მუდამ წელიწადს ერთს და იმავე საგანზე ლაპარაკი; მუდამ ერთი და იგივე საჩივარი!

და ამის გამო, ჩვენის მხრით მუდამ ერთნაირი რჩევა, რომ ესა და ეს საშუალება გვიხსნის ჩვენ ამისთანა მდგომარეობიდან!

ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, თითო უბედურება არ მოჰკლებია ჩვენს საქართველოს: ყოველ წელიწადს ან ყურძნის ნაცარი გვიფუჭებს ვენახებს და ან სეტყვა, ან გვალვა, ან წვიმა, ან კალია, ან მიწისძვრის თავი გვიხდენს ნახევანათეს კარნახულსა. ხან-და-ხან ორი და სამი უბედურება ერთად გვეწვევა.

მართი სიტყვით, კარგს მოსაყვალს, ისეთს, როგორც ჩვენ მდიდარ მიწა-წყალს შევფერის, დიდი ხანია არ მოესწრებოდა.

შეველა ამ უბედურების წინააღმდეგ თითო-ორი საშუალება მოიპოვება, რომელიც, სულ თუ არ მოსპობს ამათგან დაჩნეულს კვალს, ცოტათი მაინც შეამსუბუქებს ხალხის გაჭირებას.

მუდამ ჰყვირიან ჩვენში ამ საშუალებებზე, მუდამ ლაპარაკობენ უდამ ამბობენ, რომ ჩვენი მსხველპი არხებიან, ზოგან ტყის გაშენება და ზოგან აჭრა, სასოფლო შრომები და ბანკები, ურთიერთ საზღვეველი საზოგადოებანი ნახევანათესისა და

პირუტყვისა და სხვ. და სხვ.

შეველანი ეხედავთ, ყველა ვგრძნობთ, რომ ეს საშუალებანი ჩვენი მსხველპი საშუალებანი არიან. მაგრამ...

მაგრამ ჩვენ ვყვირით, ვლაპარაკობთ და ამით ვათავებთ საქმეს.

თითქმის დაუარღნილ ხალხს თვითონ ვერ გაუგია და ვერ უკისრნია ისეთი საქმეები, რომელიც მის მამა-პაპს არ ჩაუდენია. და ისეთი კაცები კი, რომელთაც ესმის, შეუძლიანთ და, მაშასადამე, რომელიც მოვალენიც არიან, რომ ამ გვარ საქმეები ითავონ და სისრულეში მოიყვანონ, ამისთანა კაცები კი ჩვენში არ ჩნდებიან!

შესანიშნავია და თან საუბედურო ეს განხეთქილება და უთანხმოება სიტყვასა და საქმეს შუა. სიტყვით ბევრს კარგა და გონიერს რასმეს ვიტყვი; მაგრამ როგორც საქმეზე მივარდებ, იმწამსვე, თითქო რაღაც უცნაურის ძალით, ხელები გულზე გვეკრებება და პირს ვაღებთ. ამნაირი მოქმედება, ანუ უკეთ ვსტკებათ — უმოქმედობა ჩვენ ხეარს არ დაგვაყრის.

ხალხი მოკლალა გაჭირებისაგან. დამკვირვებელი თვალის ახლაც ატყობს, რომ ის ახლა ისიც აღარ არის, რაც აღრე იყო; ის ეწერგია, ის მხნე, მხიარული, მარჯვე ხასიათი აღარ აქვს ჩვენს ხალხს, როგორც აღრე იყო; აღარ არის ის წინებობითი თვისებანი, ის კაიბიობა.

თან-და-თან ვცემა, თან-და-თან უიმედოთ ხდება, თან-და-თან საუკეთესო მომავლის იმედი ექარება გულიდან.

ზღვა; დასავლეთით — შავი ზღვა და ჩრდილოეთით — ქაეკასია. ქა უკანასკნელი სამზღვარი თვითვე შემავალი ყოფილა საქართველოსი, ასე რომ მოზღოკი და შირიურთი სამზღვარს შიგნით თურ მე ირიცხებოდნენ და მცხოვრებნი ამ უკანასკნელის ადგილებისა ყოფილან უმეტესნი წილნი ქართველნი; ხოლო დღეს არიან მათი დანაშთენნი ჩამოდენიშე მოსახლენი, ენა აქეთ ქართული და ჩაცმა ქლთა ქართულივე.

მართბ მთის ხალხნი და მათ შორის წმინდა ქართველის ჯილაგისა, როგორათაც: სენანი, მთიულნი, ბუდამაყრელნი, შშაენი, ხეესურნი, მოხეენი და სხვანი, ყოფილან მორჩილებსა და მმართველობაში ქართველის მეფისა, მმართველნი მისთავე კანონთა და მოხარჯენი: ზოგნი — ლაშქრობით, ზოგნი — სულადით და ზოგნი ფულით და სხვითა და სხვითა, ასე რომ დიდოთათვის იტყვიან,

ზღვა; დასავლეთით — შავი ზღვა და ჩრდილოეთით — ქაეკასია. ქა უკანასკნელი სამზღვარი თვითვე შემავალი ყოფილა საქართველოსი, ასე რომ მოზღოკი და შირიურთი სამზღვარს შიგნით თურ მე ირიცხებოდნენ და მცხოვრებნი ამ უკანასკნელის ადგილებისა ყოფილან უმეტესნი წილნი ქართველნი; ხოლო დღეს არიან მათი დანაშთენნი ჩამოდენიშე მოსახლენი, ენა აქეთ ქართული და ჩაცმა ქლთა ქართულივე.

და ყველა ეს კი იმ-ს-დაგელი ეკონომიური მდგომარეობისა და უმეტესობის ბრალია, რომელშიაც საქართველოს ხალხი ჩაეარდნილა.

რამში დამარცხებულმა ინგლისის მეფემ, რომელსაც გამარჯვებული მტერი თავზე დაეცმასა და დატუსაღებას ემუქრებოდა, დაიყვირა: „მომაშვილეთ ცხენი! ცხენი! ნახევარსამეფოს ვაძლევ ერთს ცხენში!“

ჩვენი ხალხი გიყვირით: „ძაცი! ძაცი, რომელმანც მიიღოს ჩემში მოწინაწილება! ნახევარი ჩემი სიცოცხლე დიდი ხანია მოგეცი!“

ს. მესხი

დღიური

□ შოთილამ გეწერენ, რომ რადგანაც ზოგიერთ რუსულ გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ რღესაში ხოლგრა გაჩენილა, ამის გამო ურიგო არ იქნებოდა, რომ, ვისიც რიგია, ახლაც მიეღოთ ღონისძიება (კარანტიმით), რომ ეს ავადმყოფობა ჩვენშიც არ გავრცელდებულყო.

პირველად ეს ხმა რუსულ გაზეთში — „რუსკი მირში“ იყო დაბეჭდილი, რომელშიაც სწერდნენ, რომ ორი დღის განმავლობაში 25 კაცი მოკლა ხოლგრა; მაგრამ ამაზე, შემდეგ, არც სხვა გაზეთებშია და არც თვითონ ამ გაზეთში არაფერი არ არის მოხსენებული. მაშა სადამე შეიძლება, ეს ამბავი მართალიც არ გამოდგეს.

□ ორშაბათ საღამოს, აქაურს

სიღარიბისა გამო, ესენი ვალდებულ იყვნენ — ეზინდნათ ზაფხულში, ქაეკასიის მთიდან, ბარათ მეფეთათვის ყინული!

მაშინ ქრისტიანობა ყოფილა ყველგან გავრცელებული, ამა გვიმტყებენ წერილნი, დღესაც არსებულნი ეკლესიანი და მათნი ნანგრევები ზემოხსენებულ სამზღვრებ შიგნით. ასე გაშინჯეთ, რომ ქაეკასიის მთის ისეთი ადგილებშიაც ყოფილა ეკლესიები, სადაც დღეს მცხოვრებნი აღვიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას, მაგრამ იმ ნანგრევ ეკლესიებს კი დღესაც თაყვანსა სცემენ და ზეარაკსა სწირვენ ხოლმე!...

ამის დამტკიცებას ძრიელ ადგილათ ჰნახავს მსურველი ადგილობრივ, რომელ კუთხეშიაც კი ისურვებს ამ გარემოების შემოწმებას. მიბრძანდით, თუნდა ახალციხესა...

ამ მხრის ხალხი მესხანია და ჯაფახებთათვის დიდი ხანია არ არის, რაც

საზაფხულო თეატრში უფ. სოკოლოვისა და იმის ცოლის ქუგლიერ-სოკოლოვის კონცერტი იყო. უფ. სოკოლოვი საყვარელი აქტიორია თფილისის საზოგადოებისა და ამიტომ ზალა საესე იყო ხალხით. ჩვეულებრივის ხელოვნებითა და მანქი-აობით ჰკითხულობდა უფ. სოკოლოვი სხვა და სხვა იუმორულ კუმ-ლეტებსა და სცენებს. იმის ცოლი ახლა ბევრად უკეთ მღერის, ვიდრე ამ სამი წლის წინათ, მაგრამ არ შეგიძლია რა ვსტკებათ, რომ ეს პატარა, ლამაზი ქალი კარგს იქს, რომ ორ-სამ წელიწადს კიდევ ისწავლიდეს და სცენაზე გამოესვლას არ ეშურებოდეს.

რაც შეეხება თვითონ უფ. სოკოლოვს უნდა ვსტკებათ, რომ ერთი ნაკლებევენება აქვს: არ იცის, რა უნდა წაიკითხოს. რა სათქმელი იყო, მაგალითად ის კუმლეტი, რომელშიაც გამოთქვა ის აზრი, რომ „როცა სომეხი გვეყვდეს, ხმს არ ვიღებთ, და რუსმა თუ მაგისთანა საქმე ჩაიდინა, ვაჩივთო?“ ან ის უხვიროლექსი რომენგვიმისა, რომელშიაც იმას ცამდი აპყავს ახალი სამართალი და ამაგებს ძველს? მს უშნო ლექსია და ამისთვის მეორეთ იმის წაიკითხვას არ ურჩევთ უფ. სოკოლოვს.

□ „ქაეკასში“ დაბეჭდილია შემდგი შენიშნვა შავი ზღვის ნაპირების მხრის უფროსისა:

„ქაეკასის მე 66 №-ში და ზოგიერთს სატახტო გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ განზრახვა არის, რომ ნოვოროსიისკში შავი ზღვის

ძალით შეუტყველებინებიათ ოსმალთ სარწმუნოება, მაგრამ. მათი სახე და გეარები კი: (ზურგენიძე, ათაბაგი, მრისთავი, მიაქთაქიშვილი და სხვანი) ამტკიცებენ მათს ქართულს ჩამომავლობას...

იტყვიან, იმ დროებში, საქართველოში, რეა მიიღო ნი მცხოვრები ირიცხებოდაო თურმე. ოსმალთ, ყიზილბაშთ და სხვთა მძლავრთა ხალხთა არ მოუწევინეს ქართველებს, დასწევს, დადაგეს, გადაასახლეს მთელ მთელი სოფლები — და შემკირდა საქართველო...

მაგრამ, რა დროს ისტორიული სურათებია? ჯერ ჩვენი შინაგანი არა ვიცით რა. ჩვენი მეზობლისას არას ვეძიებთ; მერმე კიდენ ისეთი მეზობლებისას, რომელნიც ოდესმე შეადგენდნენ ჩვენსა ერთა ჯიშა, ერთ-აულს და ერთს ხორცს, და რომელნიც დღესაც ძმებთა გესახვენ, გვეს

ფელტონი

ანობანი

ოსმალოს საქართველოზე *)

I

ამბობენ — იქნება ზოგნი კიდევ უმატებდნენ — ზოგს კი ისტორიული ფაქტები გვიმტკიცებს, რომ ოსმარ მეფის დროს საქართველოს სამზღვარი იყო: სამხრეთით — ტრაპიზონი, ანუ უკეთა ვსტკებათ, შანეთის დასასრული — რკინის პალატი (დის *); აღმოსავლეთით — ქასიის

*) მომეტებული ნაწილი აქ მოყვანილი ცნობებისა ჩვენ დადგოვტა თ. ბროვალ დავითის ძემ მურიელმა, რომლისთვისაც გულისთად მადლობას უძღვნით.

*) რკინის პალატი უწოდებენ ზღვის პარხედ ამენებულს ბურჯს, რომელიც დღესაც ზღვაში სჩანს შანეთის სოფლის ათი ნას პირ-და-პირ, ამენებულს ვითომც მარ მეფისაგან.

ენლა უჭირავს ოთახი გამოუდგარს მალა ეტაჟში.

მართალია, ზოგ ადგილებში (რაჭაში) მოხერხებულათ ნახეს ორეტაჟიანი სახლების შენება შკოლებისათვის, მაგრამ იქ, გარდა იმისა, რომ სახლები და ოთახების წყობილება ბევრათ უკეთესია ხსენებულ შკოლის სახლებზე, თითონ სახლსაც ორნიერი დანიშნულება აქვს: ქვემო ეტაჟი შკოლას უჭირავს, მაღლა სასოფლო კანცელარიას ანუ სასამართლოს. ბახვის შკოლას კი საკუთრათ მხოლოდ შკოლისათვის აქვს ეს სახლი.

ალაგის, სადაც შკოლის სახლია, მეტად შეუფერებელია შკოლისათვის, რადგან შკოლის ეზოს უჭირავს სოფლის სასოფლო, სადაც მეტ დობალ სიღრმეზე იმარხებიან მიცვალებულები. ვინ არ იცის, რამდენათ მარცხელია სასუნთქველათ სასოფლოს გარშემო მყოფი ჰავა. ზაფხულში კიდევ იმდენი არაფერი, როცა ქვეყანა ამწვანებულია ფოთლებით, რომლებიც, უხვად გვამღვივნ წმინდა ჰავას, მაგრამ შემოდგომაზე და ზამთარში, ესე იგი იმ დროს, როცა ყმაწვილები შკოლაში არიან, კი ძალიან მარცხელია.

სამწუხაროა, რომ სოფლის საზოგადოება იმდენ მიუხედავლობას იჩენს ამ უბრალო საქმეში, რომ ვერაფრით დააჯერებს კაცს; შევდგომისათვის მაინც გამოცვალოს სასოფლო ადგილი, გადაიტანოს შუაგულ სოფლიდან სოფელს გარეთ. სასოფლოს მახლობლად, რაც შეიძლება, ნაკლებ უნდა სახლდებოდეს კაცი და აქ კი ას ორმოცი სულის საცხოვრებელი შენობა, სასოფლო შკოლაც ზედ სასოფლოზე მიადგეს, დალოცვილებმა.

რუსეთი

„მოსკოვის შუყებებში“ დაბეჭდილის ტელეგრაფით ეტყობულობთ, რომ ამ თვის 16 პეტერბურღში სენატში იქნება საქმის გარჩევა ცხრა პირისა, რომელთაც ხალხში რევოლიუციური თხზულებების გავრცელებას აბრალდებენ.

ზაფხულებში იწერებინ, ვითომც ახალი განკარგულება გამოვაო, რომლის ძალითაც რუსეთის ყველა რკინის გზების გამგებანაში მთავრობისაგან დანიშნული დირექტორები იქნებიანო.

პეტერბურღში იმყოფება ამჟამად სენატორპოლის ქალაქის მრთავე, უფ. ძაზი, რომელიც უმაღლესს მთავრობასთან შუამდგომლობს, რომ სენატორპოლში ვაჭრობის ასაწევად, ბუბტასთან მადანისა და საქონლის დასაწყობი მღაზიების გაცემების უფლება მისცეს მთავრობამ ქალაქს. ამბობენ, მთავრობამ ეს თხოვნა შეწყენარაო.

სარატოვის გუბერნიის ერობას 27,000 მანეთი გადაუღვია სახალხო შკოლებისათვის იმ პირობით, რომ ყველა ქალაქს ან სოფელს, რომე-

ლიც ორ-კლასიანი შკოლის გამართვას მოინდომებს იმ თავითვე 3,000 მანეთი მიეცემა.

იმავე სხდომაში ამ ერობას გადაუწყვეტია, რომ საერო ხაზინიდან 20,000 მანეთი დანიშნოს სასოფლო ბანკებისა ანუ გამსესხებელ - შემწახველ ამხანაგობათა გასამართადო.

სახალხო განათლები საამინისტროში, როგორც ისმის, ამჟამად სჯარის იმის თაობაზე, რომ სასოფლო შკოლებში ქალებიც მიიღონ სასწავლებლად, რადგან ქალების განათლება რუსეთში საზოგადოთ უფრო დაბალს ხარისხზე დგას, ვიდრე ქალებისაო.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი. სახელმწიფო უფლებების განსაზღვრაზე სჯის დროს, მინისტრების მცვეპრეზიდენტს — ბჰიუჭჭეს, ნაციონალურს ქრებაში 3 (15) იელისს, სხვათა შკრი, უთქვამს, რომ „ამჟამად საფრანგეთს ყველაზე უფრო რადიკალების (უკიდურესი რეპუბლიკელების) უნდა ეწიოდესო.“

ამ სიტყვებს რესპუბლიკელების მოთავე ბამბეტა გამოუყენია მოთმინებიდან და ცხარე სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც ახლანდელ სამინისტროს მოქმედებას შეუბრალებლად ჰკიცხავდა.

ამის შემდეგ ბჰიუჭჭეს მოუთხოვია პალატისაგან განცხადება: აქვს იმს სამინისტროს ნდობა თუ არა? (პარლამენტალური წესია, რომ როცა პალატის უმრავლესობა კენჭის ყრით გამოაცხადებს სამინისტროს დაუნდობლობას, ეს სამინისტრო დაიშლება.) ქრებას 696 ხმაში 424 ხმის უმეტესობით გამოუცხადებია, რომ „ქრება აცხადებს რა სამინისტროზე დანდობას, შემდეგ კითხვების განხილვას შეუღებავო.“

მსპანია. როგორც იწერებინ, მმართველობის ჯარებს ძლიან შეუვიწროვებით ღონ-ძარღოსის მომხრეები. ამ უკანასკნელს დროს ორსამ ლაგას ისეთ ნაირად დაუმარცხებიათ, იმდენი ზიანი მიუცით, რომ ამბობენ, საფრანგეთის სამზღვარზე არიან მიწურულნიო და დღეს-ხელ იძულებულნი იქნებიან სრულებით გაიფანტნენო.

საბერძნეთი. უცხო ქვეყნის გავრთებში ჯერ კიდევ მაინც საბერძნეთის შინაურულ მდგომარეობაზე ძალიან უნუგეშო ამბებს იწერებინ. მაგრამ საბერძნეთის მეფე (ზიორგი) ჯერ მხნეთ არის თურქე და იმედი არ დაჰკარგვია თავის ქვეყანაში წესიერების დადგენისა. ამას წინათ ერთი დეპუტაციისთვის უთქვამს იმას, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები: „ხმებს ჰყრიან, რომ ვითომც მე განზრახვა მქონდეს საბერძნეთის ტახტიდან ხელი ავიღო. მა სულ ტყუილი ხმებია. სანამ შესაძლო იქნება, მე არ გადავდგები ჩემი ტახტიდან. ვერავითარი ძალა ვერ მაიძულებს,

რომ მხოლოდ ჩემი ტახტის შესანახად ისეთი რამ დონის-ძიება ვიხმარო, რომ საბერძნეთის ახლანდელი კონსტიტუციის წინააღმდეგა იქნეს.“

გერმანია. ჰრანჭურტის გაზეთში „დაბეჭდილია დიდი სტატია შესახებ გერმანიის ახლანდელი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობისა. ამ სტატიის ავტორი ამბობს, რომ ამხრით გერმანიის მდგომარეობა ძალიან უნუგეშო არისო; უკანასკნელი ომიანობის შემდეგ, როდესაც გერმანიამ ხუთი მილიარდი კონტრიბუცია გადაახდევინა საფრანგეთს, მაინც თან-და-თან უარესად მიდის აქაური ვაჭრული და ფინანსიური საქმეებო; ყველას ამ ფულების იმედი ჰქონდაო, ჰფიქრობდნენო, რომ ფულები გავრცელდება ხალხშიო, გაიფუტებო, და ამის გამო ისეთი საქმეები გამოიწყეს, რომლის შესრულება ვეღარ მოახერხეს, რადგან ეს პირველი მოსახრება გაუცრუვდათო: პრუსიის მმართველობამ მომეტებული ნაწილი კონტრიბუციისა ხალხის საკეთილდღეო საქმეებს კი არა, ისევე სამხედრო საქმეებს მოახმარაო.

ქრონიკა

ალექსანდრე მაკედონელი, მიტრიდატი იმარიალი და მართვალი.

333 წელს მრ. დაბ. წინ, როგორც კი დაიწყო ომი ალექსანდრემ სპარსელებთან, მაშინვე მიტრიდატი გაუდგა სპარსელებს და ალექსანდრეს მხარე დაიჭრა. ამისათვის, როგორც სჩანს ამათი ურთიერთის მოპყრობით, ალექსანდრე სწყალობდა მიტრიდატს. ამ გვარის სიყვარულითა და მეგობრობით ახსენება ის ფაქტი, რომ ალექსანდრემ, როგორც ამბობს, სტრაბონი, ჯარი გამოგზავნა პოლხიდაში ოქროს საზოგენლად (იხ. გაზ. Кавказ № 61 1875 წლის სტატიაში: Рѣка Фазисъ есть ли Ріонъ?). ასრეთა გაწყობილება რომ არა ყოფილიყო ამასა და ალექსანდრეს შუა, ამა რად მისცემდა ნებას საქართველოდგან ოქრო გაეტანა. მეგობრობა რომ არა ჰქონდათ ალექსანდრე რად მისცემდა მიტრიდატს მცხეთის მამასახლისის ჯარის ქართველ ტყვეებს, რომელსაც ის ომში იჭერდა? მოველიფრიდგან ცხადათა სჩანს, რომ ამ მიტრიდატისა და ალექსანდრეს შუა დიდი მეგობრობა ყოფილა.

თუმცა სამცხე-საათაბაგოს, აჭარისა, ლაზისტანისა, მურთისა და სამეგრელოს მამასახლისი ანუ სატრაპი ალექსანდრეს მეგობრობდა და შეელოდა, მაგრამ მცხეთის მამასახლისი სამარა ალექსანდრეს მტერი იყო, რადგან შიშობდა, რომ ალექსანდრემ მიტრიდატის მეგობრობით მე არ წამრთვას მცხეთის მამასახლისობა და იმას არ მისცესო. ამ მიზნით სამარა მამასახლი ი სპარსეთს მიემხრო. მაგრამ ალექსანდრემ სამარა მოჰკლა ბრანიკის მდინარეთან და მერმე შემოესივა აღმოსავლეთის სა-

ქართველოს. „მართლის ცხიერება“ მე 27-ს კბადონზე ამბობს: ალექსანდრე მოადგა მცხეთას, და დაუდგინა ლაშქარი იმიერ და შშიერ, ზემოთ და ქვემოთ, და თით დადგა მსანს ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ნსტაკისი; მტყვის ციხესა და თუხარისსა არა ბრძოლა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობდ; ხოლო სხვანი ესენი ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექვს თვეს.

ამის შემდეგ ალექსანდრემ დასტრავა საქართველოს მმართველად მიტრიდატი, და არა აზონი როგორც ამბობს „მარ. ცხოვრება“. ამას აპტიცებს მოსე მორენელი, როცა ის ამბობს, რომ ალექსანდრე მაკედონელი მიტრიდატს იბერიელს აბარებდა ქართველ ტყვეებს, რომელსაც ომში იჭერდაო. ეს პირველი დამტკიცება. მეორე დატკიცება: თუ მიტრიდატი იყო იბერიის სატრაპი და ის იყო მეგობარი ალექსანდრესი, უეჭველია, რომ ყველა ქართველთა ჯარი ამის ხელში უნდა ყოფილიყო; მაშ თუ ასეა როპელს იბერიელებს და იჭერდა ალექსანდრე და აძლევდა მიტრიდატს? მტყობა, რომ ამ ომის დროს საქართველო ორად იყო გაყოფილი: დასავლეთისა ჰმველოდა ალექსანდრეს, აღმოსავლეთისა სპარსელებს, სხვათა შორის ამისათვის, რომ მცხეთის მამასახლისებს ღარიოზ მეფესთან ნათესაობა ჰქონდათ. შარნაოზის ნამა სიძე იყო ღარიოზ მეფისა. ბარდა ამისა, რომ ეს ჩემი ჰზარი მართალია, ამას ამტიცებს ის ფაქტიცა, რომ 317 წელს მემანსა და ანტლონს ომი რომ მოუხდათ, მაშინ მიტრიდატი იბერიის სატრაპის სახელით მემანს ჰმველოდა და მემანი და მიტრიდატი — ორივენი ერთად დაიხოცნენ.

ასრე ამ სახით ყველა ზემონათქვამიდან მე გაბედვით გამამყავს, რომ ვიდრე ალექსანდრე მოკვდებოდა, სამარა მამასახლისის შემდეგ, მიტრიდატი იბერიელი იყო მთელი საქართველოს მთავრად, რომელიც სხვათა შორის ახსენება კიდევ მით, რომ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მაშინვე დაარსდა პონტის სამეფო.

მაგრამ 324 წელს მ. დ. წინ ალექსანდრე რომ მოკვდა და მისი სამეფო მისმა მხედართ-წინამძღოლებმა გაიყვეს, მაშინ მიღია, როგორც უკვე ვსტკვით, პ-თონს ანუ პზონს ერგო და ამან მოინდომა მეფობა უფრო საქართველოსი, ვიდრე მიდიისა, ამისათვის რომ მიდიასზე თვალი ეჭრა და ჩემულობდა აგრეთვე ანტლონიკა, და როგორც ამბობს სოფლის ისტორია კიდევაც ვკუთვნოდა. მაგრამ ვიდრე მიტრიდატი ცოცხალი იყო, პზონი საქართველოს დაპყრობას ვერ ახერხებდა. 317 წელს ის მოკვდა და აი ახლა დაიწყო პზონმა ანუ პითონმა საქართველოს მეფობის ძიება.

ინგილო ჯანაშვილი

ნარეკი

სოფელი გელათიდან გვეყრენ, რომ იმ გამოქვაბულებში, რომელიც ასე ბლომით არის აქაურ გამოჩენილ მონასტრთან, ამას

წინათ ყარაულებმა ვილაც ორი საეკვო კა-
ტი დაიკრიესო. როცა დაუწყეს გამა-
კითხვა თუ ვინ არიან და სადაურები, იმათ ჯერ
დღესანს ხმა არ ამოიღესო; მაგრამ ბოლოს
გამოტყდნენო, რომ ცოდების მოსანებლად
ვიყაით გამოკვებულშიო, ვლოცულაბდი-
თო (ჟ).

* *

სწერის პატრონისთვის. ზოგიერთ ქვე-
ყნებში, სადაც ბევრი ცხარი ჰყავთ და
მწყემსი ეძვირებად, ძაღლები ასრულებენ ამათ
მოვალეობას. აი როგორ ზრდიან ამ ძაღ-
ლებს: დაიბადება თუ არა ლეკვი, ცხართან
მოიყვანენ და იმის რძეს აჭმევენ. ლეკვი
ეჩვევა ცხარს და აღარ შორდება. ცოტა
ხანს შემდეგ, ხორცის ქივიას დაუწყებენ. სა-
ბალახით რომ გარეყენ ცხარებს, ძაღლიც თან
გაძუყება; მაგრამ, რადგან მინდორში საჭმე-
ლი არა აქვს და აღარც ცხარი აჭმევს რძეს,
ამის გამო შინ გამოაყენებენ იმ იმედით,
რომ შინ მაჭმევენ რასმესო.

* *

შრიებს ჩვეულებათ აქვთ კანონი, რომ
ვინც მზის ამოსვლამდე მოკვდება, მზის ჩა-
სვლამდე უნდა დამარხონ და ვინც მზის ჩა-
სვლისას, უთუოდ მზის ამოსვლამდე; ასე

რომ ზოგჯერ გაუციებელ მკვდარსაც ნაუ-
ძახებენ თურმე სამარეში.

მიცვლებულს ცალ ხელში ნაჯახს (პატა-
რა ცულს) და მეორეში ფულს მისცემენ
და საფლავში ჩაუყვებენ, რომ სამოთხეში
შესასვლელად გაჩვენოს, გაკაფოს გზა და თუ
არაფინ გაუშვებს, ფულები აჩუქოს.

მოსს უცხო ქვეყნის ებრაულ გზებში
იწერებოდა, რომ ერთხელ დაუმარხავთ ერ-
თი კაცი, რომელიც თურმე ლეტარგიულ
ძილში იყო.

ამ დროს ბრძანება იყო, რომ ახალი
დამარხული მკვდრები უნდა ამოეღოთ მი-
წილში და გაეჭრათ, რომ გაეგოთ, ვინ რა
აფთხეულობით მომკვდარა.

შუა ღამეზედ გაუთხრათ დოქტორებს
ამ კაცის სამარე, ამოუღოთ კუბო და მკვდ-
რი თავისი წაომღვარა. შემინებული დოქ-
ტორები გაქცეულან, ეს უკან გამოსდევნებია;
ერთი დოქტორი შიშით იქვე მომკვდარა. ს ფ-
ლავიდამ ამოღებულ კაცს მოუხსნია სულარა,
თვალეზ ამოუფშენებია და განცვიფრებულა,
რა მინდა სასაფლაოზეო, წასულა თავის
სახლში, აქაც ბევრი დაუფრთხია, მაგრამ
მკრე უცნაოთ და შეუყვანაოთ სახლში.

თეოფ. ძანდელაყი

განცხადება

თფილისის თავად-ახანაშრომის საადგილ-მამულო ბანკის

ბ ა ლ ა ნ ს ი

1875 წლის პირველის ივლისისათვის.

აკტივი მან. კაპ. მან. კაპ.

ქანსა. 1057 69

ხალად-მიგარაგული ფული:

ა) თფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში			
ბ) თფილისის საეკვო ბანკში	1315	87	
გ) თფილისის საურთიერთო კრე- დიტო საზოგადოებაში	164152	82	165468 69
დ) საწერო ფული თფილისის სა- ურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში. შანანახად მიგარაგული ფული:			30
ბანკის ქორრესპონდენტები:			
ა) რუსეთის საზღვარს გარეთული ალბ-მიცემისათვის ბანკი			
ბ) ქორრესპონდენტები			3000
სამსხი, გათავაზული			
ბრძელის ვალი:			
ა) მიწებზედ			
ბ) ძალაქებში მდებარე უძრავ ქო- ნებზედ			15000
მოკლე ვალით			10145

სახელმწიფო სარგავლიანი და მთავრობისაგან
გარანტია მიცემული ძალადები, შანახული

ა) თფილისის სახელმწიფო ბანკის

განყოფილებაში	10000		
ბ) ბანკის ქანსაში			58415
გ) თფილისის საეკვო ბანკში	48415	55	
ბირაოს ფურცლები გასასყიდად			12425
წარმოდგენილი			
სესხის გადასახდელოდ			
ბრძელ ვალიანი სესხები, რომელ- ნიც გასაცემად დანიშნულნი არიან:			
ა) მიწებზედ	12500		
ბ) ძალაქებში მდებარე უძრავ ქო- ნებზედ	27700		40200
სმსხის ამღებნი:			
ა) ნადროები გადასახადი			
ბ) შიდა გადაცილებული გადასახადი			
ა) შამგეობა და ჯამ გირი	11994	27	
ბ) მოსაძაღბებლად და გასაწყობად	1316	6	13310 33
ზასაყელი რომელიც უნდა დაბ- რუნდეს	99	19	99 19
ბ ა ლ ა ნ ს ი	319151	45	

კანსივი ძირის ფული:

ა) ბრძელვადიანი სესხათვის	160,000		259760	93
ბ) მოკლევადიანი სესხათვის	99760	93		
შემონახული თაენი			206	57
ბირაოს ფურცლები, გათავაზული				
ა) 54 1/2 წლის ვალით				
ბ) 18 წლისა და 7 თვის ვალით			15000	
ბირაოს ფურცლები, რომელნიც უნდა გამოიცან:				
ა) 54 1/2 წლის ვალით	12,500			
ბ) 18 წლისა და 7 თვის ვალით	27,700		40200	
გადასახადი ფონდი, მისაცემი:				
ა) 54 1/2 წლის გირაოს ფურცლებში				
ბ) 18 წლისა და 7 თვის გირაოს ფურცლებში			456	75
სარგებელათ			443	28
ბირაოს ფურცლების კუბონები, ანუ ნაკვეთები, რომელშიც ფული უნ- და მიეცეს			450	
ბირაოს ფურცლები, რომელნიც გაუქმების წილი ხდებათ, მაგრამ ჯერ არ წა- მოუღებიათ დასაცელოდ				
ვალად აღრამ გადახდილი სამსხი				
ა) ბირაოს ცურცლებით				
ბ) ნაღდი ფულით				
დასაფასებლად სახარჯო ფული			432	52
სარგებელი მოკლე ვალიანი სესხებისა ქორრესპონდენტები			556	47
ჯარიმა				
ღროებით შენახული ფული			1297	79
სესხის ამღებლები				
სხვა-და-სხვა კრედიტორები				
სხვა-და-სხვა სარგებელი			347	17
ბანკის მოგებისა და ზიანის ანგარიში				
ბ ა ლ ა ნ ს ი	319151	45		

თავს-მჯდომარე თ. ი. შავჭავჭავაძე.

წყერი: პლ. ჩოლაყაშვილი

და თ. ლავ. ავალიშვილი.

ბუხლალტერი მ. ხაბატურიანი.

რ.კ. ზგა.	ლილა.	საღამ.	II კ.	III კ.	საცხლის გეგები	ფოფა	ბირჟა	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.
თფილისი	818	817			ა) შოთიღამ:	ა) თფილისი ღამ:	პეტერბურგი, 11 ივლისს.		თფილი ი, 14 ივლისს	
მცკეთა	918	10	68	38	მდესისკენ — ორშაბ. დილისშახათ	სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორავლის ფთ.	110
ზორი	1139	143	240	123	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 3 3/8 პენსი.	84	მერი ფუთი	60
სურამი	152	430	392	218	ბ) სოხუმშიღამ:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და	პარიჟში 3 1/2 სანტიმი.	89	ბამბა ქრევისა, ფუთი	430
ბეჟათუბანი	345		442	246	შოთს — სამშაბათს, ღამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაუ. და	სკონტი(სარგებლისუსი)	6	— ამერიკისა, ფუთი	6
შვირილა	649		581	323	მდესას — კვირას, გათენებისას.	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	99	ბაქონტილი ბამბა ფთ.	8
მუთისი	755		675	375	შოთიღამ: I II III	თფილისისა და შოთისკენ — ყო-	მოგებიანი(პირველისუსი)	223	მატყელი თუშური ფთ.	7
სამტრედია	9	2	173	429	სოხუმშიღამ: I II III	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)	222	— თარაქმისა ფთ.	380
აბ-სენაკი	10		857	476	შერჩამდი	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის	ბარაოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუნური ფრ.	260
შოთი	11		975	542	ტაგანროგ.	— ორშაბ.	თფილ, სააზნ. ბანკისა.		მონი, ფუთი	4
შოთი	738				მდესამდი. 38	გ) ბო რ ი დ ა მ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88	მონის სათელი ფუთი.	560
აბ-სენაკი	911		118	66	ტელეგრაფი	შოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%)	86	სტეარინის სათელი, ფ.	1040
სამტრედია	1012		2	6114	მ.ცი სიტყვა თფილისიღამ:	გარდა.			ხორცი ძროხისა, ლიტ.	65
მუთისი	1117		3	4169	მუთისის, შოთს	დ) შოთი ღამ:	აქციები:		— ცხვისა, ლიტრა	75
შვირილა	1238		3	9821	ბორს, დუშეთს, სიღნახს	შოველგან ყოველ დღე, კვი-	მდესის საეკვო ბანკის.	213	— სპირტი, ვედრო	7
ბეჟათუბანი	327	ლაშე	5	33296	როსტოვს მდესას მოსკოვს	რას გარდა.	შოთი-თფილ. რკინ. გზის	133	შაქარი, კარგი ფუთი	820
სურამი	457	1230	5	84324	პეტერბურგს, პარსავას	წიგნის გაგზავნარუსეთში	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	— ფხვნილი ფუთი	680
ზორი	723	3317	3	649	მსპალეთში, შვეიცარიისში	და სამზღვარ გარეთ:	ქაქავის და მერკურისა	168	შავა გრგვ.ლი ფუთი	19
მცკეთა	952		9	854	იტალიისში და საფრანგეთში.	ლია წიგნის	პირვე საზღვევ. საზოგ.	665	ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	660
თფილისი	1049	8	2	975	ინგლისში	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	მქობი 1/2 იმპერიალი	591
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	257		